

მდინარე ვარაზისხევის ჰიდროსტიქიური მოვლენების ჰიდროლოგიური და  
ჰიდრაულიკური ანალიზი

*დავით კერესელიძე, ვაჟა ტრაპაიძე, გიორგი ბრეგვაძე, დავით სვანაძე*

ელ-ფოსტა: [davit.kereselidze@tsu.ge](mailto:davit.kereselidze@tsu.ge)

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ი. ჭავჭავაძის გამზ., 3, თბილისი, 0179, საქართველო

მდინარე მტკვრის აუზში ქალაქ თბილისის ქვაბულში მრავალი მცირე მდინარეა, რომლებიც გარკვეულწილად საფრთხეს უქმნიან ქალაქის ინფრასტრუქტურას. ისტორიულ წარსულში მდინარე ვერემ და კრწანისისხევმა დიდი ზარალი მიაყენა ქალაქს, იყო მსხვერპლიც.

ერთ-ერთ ასეთ საშიშ მდინარეს წარმოადგენს მდინარე ვარაზისხევი, რომლის წყალშემკრებ აუზში მოხდა ქალაქის განაშენიანება და მაქსიმალური წყალმოვარდნის შემთხვევაში იგი წარმოადგენს რისკ-ფაქტორს ქალაქის მოსახლეობისა და ინფრასტრუქტურისათვის.

მდინარე ვარაზისხევის ზემო წელში მიმდინარე ჰიდროლოგიური და ჰიდრაულიკური პროცესების დეტალური ანალიზის შედეგად გამოიკვეთა ის ძირითადი ტენდენციები, რასაც განაპირობებს აუზში ჩამოყალიბებული ჰიდროსტიქიური პროცესები.